



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 6

18/02/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, დანართი 1 და დანართი 2-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მეზაღიშვილის ქ.#62.).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ახალციხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგია

2020-2022

მომზადებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს - ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის, USAID-ის „ზრდა“ პროექტის და World Vision საქართველოს ერთობლივი პროექტის „ადგილობრივ თვითმართველობებში ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერება“ ფარგლებში.

1. შესავალი

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის“ (შემდგომში „სტრატეგია“) მიზანია, დაარეგულიროს იმ საკითხთა ფართო სპექტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-29 წლის ახალგაზრდებს ეხებათ. სტრატეგია ეფუძნება „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის №533 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ დამტკიცდა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ხედვა აღიარებს, რომ გრძელვადიანი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის №349 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წწ.)“ დამტკიცდა. სამოქმედო გეგმა მთავარი ინსტრუმენტია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სისტემური და მდგრადი განვითარებისთვის. ის მოიცავს ახალგაზრდული პოლიტიკის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ და დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი მომსახურებაც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები და შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

2. სტრატეგიის პრინციპები

სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

უნდა იყოს ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე, იყოს ინკლუზიური, ახალგაზრდების კეთილდღეობაზე ზრუნავდეს, დაცული იყოს თანასწორობა და ხელმისაწვდომობა, უნდა იყოს დაფუძნებული კვლევასა და მტკიცებულებებზე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა ყველა ეტაპზე. უნდა იყოს მოქნილი და

ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობას და პარტნიორობის დამყარებას.

3. ზოგადი ინფორმაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში და შედის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მხარეში. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ახალციხე. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთიდან ბორჯომისა და ასპინძის, სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, ხოლო დასავლეთიდან ესაზღვრება ადიგენის მუნიციპალიტეტი.

ახალციხის მუნიციპალიტეტში თავს იყრის რეგიონის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან სომხეთიდან და თურქეთიდან მომავალი გზები, ხოლო მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უკავშირდება გოდერძისუღელტეხილით. ამდენად, ახალციხის სტრატეგიული მნიშვნელობა დიდია. მუნიციპალიტეტის დაშორება თბილისამდე – 207კმ, ბათუმამდე – 168კმ, სომხეთის საზღვრამდე (ს.გ.პ. "ნინოწმინდა") – 89კმ და თურქეთის საზღვრამდე (ს.გ.პ. "ვალე") – 12კმ.



ახალციხის მუნიციპალიტეტი - საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარის, მდიდარი ისტორიული წარსულით ცნობილი რეგიონის - სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრია. ახალციხის მუნიციპალიტეტში შედის ადმინისტრაციული ცენტრი, 45 სოფელი და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს **ქალაქი ახალციხე**,

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. ასეთ საკითხებს განეკუთვნება ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნითაც.

მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერი) ორგანოები – მუნიციპალიტეტის ორგანოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,

მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებითა განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მექანიზმია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება (მუხლი 19), ხოლო მერს შეუძლია, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოს შესაბამისი სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება (მუხლი 54).

4. ახალგაზრდობა

ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების რიცხოვნობა ასაკის და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით
(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	ქ. ახალციხე			ახალციხის მუნიციპალიტეტი		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
14	246	246	-	252	51	201
15	242	242	-	264	50	214
16	239	239	-	265	56	209
17	266	266	-	297	62	235
18	250	250	-	238	49	189
19	216	216	-	250	38	212
20	236	236	-	261	31	230
21	222	222	-	260	39	221
22	289	289	-	323	53	270
23	254	254	-	317	63	254
24	311	311	-	280	42	238
25	248	248	-	284	43	241
26	263	263	-	298	43	255
27	307	307	-	272	44	228
28	320	320	-	313	47	266
29	330	330	-	311	57	254

5. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ახალციხის მუნიციპალიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, World Vision საქართველო, USAID-ის ზრდა პროექტისა და ახალგაზრდული ინიციატივების რეგიონალური ასოციაცია - აირას პარტნიორობის საფუძველზე, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდული ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფები და სხვა დაინტერესებული პირები.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;

- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ახალგაზრდების საჭიროებების და სამოქალაქო ჩართულობის კვლევა;
- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;
- პრიორიტეტების განსაზღვრა / რესურსების ოპტიმალურად განაწილება;
- სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან.

6. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებათ ხარისხიან განათლებაზე და დაცულია მათი შრომის უფლებები, არიან აქტიური მოქალაქეები, ცხოვრობენ ცხოვრების ჯანსაღი წესით და უსაფრთხო გარემოში, აქვთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, აქვთ ინფორმაციული წვდომა და მხარდაჭერილია მათი ინიციატივები, ახალგაზრდებს აქვთ სამეწარმეო უნარები განვითარებული, მათთვის ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული პროგრამები, აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით, იჩენენ შემწყნარებლობას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

5. მისია

სტრატეგიის მისიაა, ხელი შეუწყოს ახალციხის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და იყვნენ აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობა გაზრდილია.

ახალგაზრდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა დასაქმებაა. ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდების 25.8% უმუშევარია, რაც ბევრად აღემატება მთლიანად უმუშევრობის დონეს ქვეყანაში (11.8%)¹.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგად დასაქმება ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთ პრობლემატურ

¹ ახალგაზრდული პოლიტიკის მონიტორი, www.youth.gov.ge

საკითხად გამოიკვეთა. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში მათთვის სასურველი სამსახურის შოვნა რთულია. ასევე რთულია მათი პროფესიის შესაბამისად დასაქმება, რაც ნეგატიურად მოქმედებს ახალგაზრდების პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობაზე.

ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებასთან და მეწარმეობის განვითარებასთან.

ამოცანები:

- 1.1. ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- 1.2. ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარება ხელშეწყობილია;
- 1.3. ახალგაზრდებზე მორგებული სტაჟირების და პრაქტიკის შესაძლებლობები შექმნილია.

სტრატეგიული მიზანი 2. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობები შექმნილია

საქართველოში ბევრი ახალგაზრდა მისდევს ცხოვრების არაჯანსაღ წესს, რომელიც მოიცავს: ალკოჰოლისა და თამბაქოს ჭარბ მოხმარებას, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარებას, აზარტულ თამაშებს, მთვრალ მდგომარეობაში და უსაფრთხოების ღვედების გარეშე ავტომობილის მართვას, არასწორ კვებას და ჭარბწონიანობას. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ახალგაზრდებში იწვევს აბორტებს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებასა და ნაადრევ ქორწინებებს.

მწვავე პრობლემად რჩება ახალგაზრდებს შორის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი არის დაკავებული ვარჯიშით, უფრო მეტი არის ჩართული სპორტულ შეჯიბრებებში თუმცა ესაც წელიწადში რამდენჯერმე და არ აქვს სისტემური ხასიათი. მნიშვნელოვანი განსხვავებებია ვარჯიშით დაკავებულობის მიხედვით გენდერულ ჭრილში. მიუხედავად იმისა რომ ქალაქში არის სავარჯიშო დარბაზი ქალების ძალიან მცირე რაოდენობა სარგებლობს -ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ვარჯიშის რეგულარობა დაკავშირებულია სქესთან და მამაკაცების შემთხვევაში რეგულარული ვარჯიშის ალბათობა უფრო მაღალია ქალებთან შედარებით.

ამოცანები:

- 2.1. ახალგაზრდებში ჯანსაღი წესის შესახებ ინფორმირებისა და განათლების დონე გაზრდილია;
- 2.2. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარიზებულია;

2.3. ახალგაზრდები თავისუფალ დროს რაციონალურად და ეფექტურად იყენებენ.

2.4. ახალგაზრდები მონაწილეობენ დასვენებასა და გართობაზე მიმართულ პროგრამებში, რომელშიც ინტეგრირებულია როგორც ფიზიკური ისე რეკრეაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები;

2.5. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული სპორტულ პროგრამებში /გაფართოებული და გაუმჯობესებულია სპორტული ინფრასტრუქტურა.

სტრატეგიული მიზანი 3. ახალგაზრდების მონაწილეობა მხარდაჭერილია

ახალგაზრდების მონაწილეობა აღიარებული უფლებაა საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტებით. „ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“ განახლებული ევროპული ქარტიის თანახმად: „საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე არჩევნებში ხმის მიცემით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ან კანდიდატურის დაყენება, მიუხედავად არჩევნების მნიშვნელობისა. მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს უფლებების, საშუალებების, სივრცისა და შესაძლებლობათა ქონას, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერას, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის და ღონისძიებებში და აქტივობებში ჩართულობისთვის, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას.“² ქარტია ხაზს უსვამს, რომ მონაწილეობა ნიშნავს ზეგავლენისა და პასუხისმგებლობის ქონას გადაწყვეტილებებსა და აქტივობებზე, რომლებიც გავლენას ახალგაზრდების ცხოვრებაზე ან უბრალოდ მნიშვნელოვანია მათთვის.

- სტრატეგიის შემუშავების პროცესში ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების მხოლოდ ნაწილია მუნიციპალიტეტის საქმიანობებში ჩართული. ძირითადად ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქში ან ქალაქთან ახლოს ვისთანაც ინფორმაციის გავრცელება უფრო მარტივად ხდება. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახალგაზრდების ჩართულობის იშვიათი მაგალითები არსებობს, თუმცა არც ახალგაზრდების მოტივაცია მსგავს პროცესში ჩართულობის მაღალია. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობა ამბობს, რომ სურვილი აქვთ ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსაკუთრებით ახალგაზრდული მიმართულებით ბიუჯეტის შედგენაში, თუმცა რატომ ვერ ერთვებიან, პასუხი არ აქვთ ან ამბობენ, რომ არ იციან, როგორ უნდა ჩაერთონ მსგავს პროცესებში. ნაწილი ახალგაზრდების ამბობს რომ

² ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ განახლებული ევროპული ქარტია, მიღებულია ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიერ (მე-10 სესია, 2003 წლის 23 მაისი).

ხშირად ინფორმაციის ვაკუუმში არიან განსაკუთრებით სოფლებში, ხშირად ვერ იგებენ ახალგაზრდული პროგრამების შესახებ და არც იციან, როგორ უნდა მიიღონ ეს ინფორმაცია. ახალგაზრდების მოტივაცია აჩენს სივრცეს მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის გასავითარებლად.

- დაბალია ახალგაზრდების აქტიურობა სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის მხრივაც. მაგალითად, მოხალისეობრივ საქმიანობაში. მოხალისეობრივი საქმიანობა ნაკლებად ცნობილია ფოკუს-ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდებისთვის, ნაწილმა თვითონ ტერმინის განმარტებაც ვერ შეძლო. მოხალისეობრივი საქმიანობა ძირითადად სკოლის მოსწავლეთა შორის არის განვითარებული, როცა სკოლის, მერიის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იგეგმება გარემოსდაცვითი ან სხვა მოხალისეობრივი პროექტი.

ამოცანები:

3.1. ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ამაღლებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;

3.2. ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ

3.3. მიმდინარე პროცესებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა გაზრდილია;

3.4. მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;

3.5. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად ფინანსები გამოყოფილია.

სტრატეგიული მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია

ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას.

ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას.

ახალგაზრდული საქმიანობა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტია, რომელიც ავსებს

ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს (ოჯახი, სამსახური, სკოლა და ა.შ.) და სთავაზობს ახალგაზრდებს ხელშესახებ უპირატესობებს არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით და შესაბამისი მიზნობრივი მიდგომებით. ის ხელს უწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლიანი და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, განუვითარდეთ კომპეტენციები - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ფოკუსს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, ახალციხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საკმაოდ ბევრი საგანმანათლებლო დაწესებულებები, (სკოლა, უნივერსიტეტი, პროფესიული კოლეჯი) სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, მიიღონ ფორმალური განათლება. რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, მას ძირითადად მუნიციპალიტეტის მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით იღებენ (ტრენინგები, სემინარები, ლაშქრობები, საგანმანათლებლო ბანაკები და სხვა.) ახალგაზრდები დადებითად აფასებენ ამ პროგრამებს, თუმცა აქვე აღნიშნავენ რომ მათი აზრით ეს პროგრამები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაეხმაროს მათ, რომ განივითარონ თავიანთი უნარები და კომპეტენციები, რის შემდეგაც შეძლებენ საკუთარი თავის სწორად რეალიზებას. მათი აზრით კარგი იქნება თუ მუნიციპალიტეტში უფრო მეტი გასართობი და საგანმანათლებლო პროგრამები დაინერგება, რასაც ექნება სისტემური ხასიათი და გათვლილი იქნება სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაზე. ახალგაზრდები ასევე საუბრობენ ახალგაზრდულ სივრცეებზე, სადაც ხორციელდება ახალგაზრდული საქმიანობა. ამბობენ რომ ასეთი სივრცეების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის და რეალიზებისთვის. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ამბობს, რომ სოფლებში არის ახალგაზრდული ცენტრები, თუმცა ამ ცენტრებში არ ხორციელდება ახალგაზრდული საქმიანობა, არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით და პროგრამები, რომლებიც იშვიათად ხორციელდება, არის მხოლოდ სკოლის დაბალი ასაკის მონწავლეების ჩართულობაზე ორიენტირებული. შესაბამისად ახალგაზრდები ნაკლებად სარგებლობენ ამ ცენტრებით. მათი აზრით ახალგაზრდული ცენტრი უნდა იყოს სიახლეებით სავსე, მუდმივად უნდა ისმოდეს ახალგაზრდული ხმა, მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდულ ცენტრს ჰქონდეს საჭირო ინვენტარი და თანამედროვე ტექნიკა, ღია იყოს ყველა ასაკის ახალგაზრდისთვის და პროგრამები, რომლებიც იგეგმება და შემდგომ ხორციელდება, ახალგაზრდის საჭიროებებს და ინტერესებს შეესაბამებოდეს.

ამოცანები:

4.1. ახალგაზრდული საქმიანობისა და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობა პოპულარიზებულია;

4.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარება მხარდაჭერილია შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით;

4.3. არსებული ახალგაზრდული ცენტრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სახლების მოდერნიზება, ინფრასტრუქტურის განახლება და ცენტრის ხელმძღვანელების გადამზადება უზრუნველყოფილია;

7. ლოგიკური ჩარჩო

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი
მიზანი 1. ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობა გაზრდილია		
ამოცანა: 1.1 ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;	2020-2022	<p>1.1.1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების 20 % ფლობს ინფორმაციას შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების შესახებ.</p> <p>1.1.2. ახალგაზრდების 30 % ჩართულია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიული ცოდნის, კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას.</p> <p>1.1.3. ყოველწლიურად 100 ახალგაზრდა მონაწილეობს ტრენინგში CV-სა და სამოტივაციო წერილის სწავლების, გასაუბრებაზე მოქცევის ეთიკის და ქცევის წესების შესახებ.</p>
ამოცანა: 1.2. ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარება ხელშეწყობილია;	2020-2022	1.2.1. ახალგაზრდების 25 % განვითარებული აქვს სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვას, იდეების გენერირებასა და განხორციელებას, პრობლემების ანალიზსა და მათ ეფექტიან გადაწყვეტას როგორც საქმიან, ასევე პირად სივრცეში და დაეხმაროს მას, რათა იდეა აქციოს საქმედ.
ამოცანა: 1.3. ახალგაზრდებზე მორგებული სტაჟირების და პრაქტიკის შესაძლებლობები შექმნილია.	2020-2022	1.3.1 მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის შექმნილია სტაჟირების პროგრამა.

მიზანი 2. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობები შექმნილია		
ამოცანა: 2.1. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ინფორმირებისა და განათლების დონე გაზრდილია;	2020-2021	2.1.1. 300 ახალგაზრდას განვითარებული აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპეტენცია, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, იზრუნოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.
ამოცანა: 2.2. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარიზებულია;	2020-2022	2.2.1 ახალგაზრდების 40 % ამაღებული აქვთ ცნობიერება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. 2.2.2 რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდებში ცნობიერება გაზრდილია. 2.2.3 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები, როგორც გოგონები ისე ბიჭები, აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა სპორტულ პროგრამებში. 2.2.4. სპორტული პროგრამები გაშუქებულია ადგილობრივი მედია მაუწყებლობის საშუალებით.
ამოცანა: 2.3. ახალგაზრდები თავისუფალ დროს რაციონალურად და ეფექტურად იყენებენ.	2020-2022	2.3.1. ახალგაზრდების შეკრებისა და ურთიერთობების წასახალისებლად საჯარო და თავისუფალი სივრცეები შექმნილია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. 2.3.2. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე არსებულ ათი ახალგაზრდული ცენტრით მოსარგებლე ახალგაზრდების რაოდენობა გაიზარდა 50 % 2.3.3. მუნიციპალიტეტში არსებულ ათივე ახალგაზრდულ ცენტრში ყოველწლიურად ახალგაზრდების მიერ იგეგმება და ხორციელდება მინიმუმ 100 ღონისძიება.
ამოცანა: 2.4. ახალგაზრდები მონაწილეობენ დასვენებასა და გართობაზე მიმართულ პროგრამებში, რომელშიც ინტეგრირებულია როგორც ფიზიკური ისე რეკრეაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები;	2020-2022	2.4.1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1000 ახალგაზრდა აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ან/და მხარდაჭერილ გასართობ პროგრამებში. 2.4.2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის წელიწადში 3ჯერ ეწყობა საგანმანათლებლო და გასართობი ბანაკები.

<p>ამოცანა: 2.5. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული სპორტულ პროგრამებში.</p>	<p>2020-2022</p>	<p>2.5.1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების 50% აქტიურად მონაწილეობს სპორტულ პროგრამებში.</p> <p>2.5.2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის როგორც გოგონებს ისე ბიჭებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ან/და მხარდაჭერილ სპორტულ პროგრამებში.</p> <p>2.5.3. სპორტული პროგრამებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით ბიუჯეტიდან გამოყოფილია კონკრეტული თანხა.</p>
---	------------------	--

მიზანი 3. ახალგაზრდების მონაწილეობა მხარდაჭერილია

<p>3.1. ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ამდლებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;</p>	<p>2020-2022</p>	<p>3.1.1. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ორგანიზებულ მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 500 ახალგაზრდამ.</p> <p>3.1.2. ახალგაზრდების 35 % აქტიურად მონაწილეობს მოხალისეობრივ აქტივობებში.</p>
<p>3.2. ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ</p>	<p>2020-2022</p>	<p>3.2.1 ახალგაზრდების 50% იცნობს მის სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს</p>
<p>3.3. მიმდინარე პროცესებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობა გაზრდილია;</p>	<p>2020-2022</p>	<p>3.3.1. ახალგაზრდების 45% დადებითად აფასებს მისი ინფორმირებულობის ხარისხს მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ</p>
<p>3.4. მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;</p>	<p>2020-2022</p>	<p>3.4.1 ახალგაზრდების 50% დადებითად აფასებს საკუთარ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.</p> <p>3.4.2 ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია/მხარდაჭერილია ახალგაზრდების მიერ ინიცირებული 50 პროექტი.</p>

3.5. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად ფინანსები გამოყოფილია.	2020-2022	3.5.1 ახალგაზრდებისთვის წელიწადში ორჯერ ცხადდება იდეების კონკურსი/ დაფინანსდება 10 პროექტი
მიზანი 4 ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია		
4.1. ახალგაზრდული საქმიანობისა და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობა პოპულარიზებულია;	2020–2022	<p>4.1.1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების 50% იცნობს ახალგაზრდულ საქმიანობას</p> <p>4.1.2. მუნიციპალიტეტის ინიციატივით შექმნილია ახალგაზრდული პროგრამების მონიტორინგის საბჭო, სადაც გაერთიანებულია ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.</p>
4.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარება მხარდაჭერილია შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით;	2022	<p>4.2.1. მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილ პიროვნული განვითარების ტრენინგებში ჩაერთო 600 ახალგაზრდა.</p> <p>4.2.2. ყოველწლიურად 1000 ახალგაზრდაა ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილ არაფორმალური განათლების პროგრამებში</p> <p>4.2.3. არაფორმალური განათლების მხარდაჭერისთვის და პოპულარიზებისთვის ბიუჯეტიდან თანხა გამოყოფილია.</p>
4.3. არსებული ახალგაზრდული ცენტრების, ბილიოტეკების და კულტურის სახლების მოდერნიზება, ინფრასტრუქტურის განახლება და ცენტრის ხელმძღვანელების გადამზადება უზრუნველყოფილია;	2019–2020	4.1. 10 ახალგაზრდული ცენტრი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით. 15 მენეჯერი დატრენინგებულია ახალგაზრდული მუშაკის კვალიფიკაციის შესაბამისად, ფლობენ ცოდნას ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების დადგენის შესახებ.

8. სტრატეგიის იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების და კოორდინაციის მექანიზმები

8.1 კოორდინაცია ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ძალისხმევით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია, ასევე, სხვა სექტორის მხარდაჭერაც. სხვა მნიშვნელოვანი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სტრატეგიის განხორციელებას, არიან: საქართველოს მთავრობა და შესაბამისი სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ბიზნესი, მედია და მკვლევარები.

სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

8.2 სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველწლიურად გამოაქვეყნებს საჯარო ანგარიშს სტრატეგიის განხორციელების შესახებ;
- პერიოდულად ჩატარდება კვლევა იმ პროგრესის შეფასების მიზნით, რომელიც სტრატეგიის განხორციელების შედეგად დადგება;
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოწვეული იქნებიან, რომ ყოველწლიურად მოამზადონ ალტერნატიული ანგარიში სტრატეგიის განხორციელების შესახებ ახალგაზრდული საბჭოს ჩართულობით;
- შეიქმნება მუდმივმოქმედი პლატფორმა მუნიციპალური (მუნიციპალური ახალგაზრდული ფორუმი, ახალგაზრდული იდეების მონიტორინგის საბჭო) ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის თანამშრომლობისთვის;
- არსებული შედეგების გათვალისწინებით განხორციელდება სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასება და მასში შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების შეტანა.

მიზანი	ამოცანები	პროგრამები/პროექტები/ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	შესრულების ინდიკატორები	შემსრულებელი	დაწყების და დასრულების ვადა (წელი)	დაფინანსების წყაროები
სტრატეგიული მიმართულება 1: ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობა გაზრდილია მოსალოდნელი შედეგები: ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია						
1. ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობა გაზრდილია.	1.1. ახალგაზრდების კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;	1.1.1 შრომის ბაზრის კვლევა მოთხოვნადი პროფესიების გამოსავლენად 1.1.2 ახალგაზრდებისთვის დასაქმებისთვის აუცილებელი კომპეტენციების (სამეწარმეო და ინიციატივის კომპეტენცია, დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენცია, ურთიერთობის კომპეტენცია, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია) და უნარების განვითარება არაფორმალური განათლების გზით.	* განხორციელებული და გასაჯაროებულია ბაზრის კვლევა ადგილობრივ დონეზე, გამოვლენილია ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები; - ახალგაზრდების 30% ინფორმირებულია კვლევის შედეგების შესახებ * ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით დაგეგმილ კომპეტენციებისა და უნარების განმავითარებებ პროგრამაში რაც დასაქმებისთვის აუცილებელი მოთხოვნილებებია ჩართულია სულ მცირე 1000 ახალგაზრდა.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
1.2 ახალგაზრდებში მეწარმეობის განვითარება ხელშეწყობილია	1.2.1 სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდებში, მათ შორის ადგილობრივ დონეზე სამეწარმეო კუთხით მომუშავე არასამთავრობო და საგანმანათლებლო (პროფესიული კოლეჯი) ორგანიზაციებთან თამშრომლობით.	1.2.1 სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდებში, მათ შორის ადგილობრივ დონეზე სამეწარმეო კუთხით მომუშავე არასამთავრობო და საგანმანათლებლო (პროფესიული კოლეჯი) ორგანიზაციებთან თამშრომლობით.	. მეწარმეობის განვითარების ტრენინგ-კურსში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 500-მა ახალგაზრდამ	ადგილობრივი თვითმმართველობა ; ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კოლეჯი.	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები;
	1.2.2 ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა. 1.2.3. მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ როგორც ბიზნეს სექტორთან ისე არასამთავრობო ფონდებთან, რომლებიც ახალგაზრდებისთვის აცხადებენ სამეწარმეო	1.2.2 ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა. 1.2.3. მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ როგორც ბიზნეს სექტორთან ისე არასამთავრობო ფონდებთან, რომლებიც ახალგაზრდებისთვის აცხადებენ სამეწარმეო	. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური საერთაშორისო თუ ადგილობრივ ბიზნეს ან დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, წელიწადში ორჯერ 100 ახალგაზრდასთან აწვობს საინფორმაციო შეხვედრებს, აცნობს გამოცხადებულ ან მიმდინარე სამეწარმეო პროექტებს და დაინტერესების შემთხვევაში თანადაფინანსებას უწევს პროექტის	ადგილობრივი თვითმმართველობა ; ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კოლეჯი, ბიზნეს სექტორი		

	1.2.4 სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების წყაროებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	• სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების წყაროებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია მიზნობრივად მიეწოდა სულ მცირე 1000 ახალგაზრდას.	ადგილობრივი თვითმმართველობა , არასამთავრობო სექტორი	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
	1.2.5 ახალგაზრდების კვალიფიციური მხარდაჭერა სამეწარმეო საქმიანობის წახალისების პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად	• სამეწარმეო საქმიანობის წახალისებისა და მხარდაჭერის პროგრამებში მონაწილეობის მიღების საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სულ 100 ახალგაზრდას გაეწია კონსულტაცია და კვალიფიციური მხარდაჭერა ბიზნეს-გეგმის ან საპროექტო წინადადების მომზადებაში, პროცედურების მიხედვით განაცხადის შეტანასა და სხვა საკითხებში	ადგილობრივი თვითმმართველობა , არასამთავრობო სექტორი	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
	1.2.6 დასაქმების ფორუმების ორგანიზება ახალგაზრდებისთვის	• ორგანიზებულია სულ მცირე 2 დასაქმების ფორუმი	ადგილობრივი თვითმმართველობა , არასამთავრობო სექტორი	2020-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები
1.3 ახალგაზრდებზე მორგებული სტაჟირების და პრაქტიკის შესაძლებლობები შექმნილია	1.3.1 ახალგაზრდები სტაჟირების ხელშეწყობა კერძო სექტორთან თანამშრომლობის საშუალებით	• მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით შექმნილია ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო პორტალი, სადაც პერიოდულად განთავსდება ინფორმაცია ადგილობრივ დონეზე მიმდინარე ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამებზე და მათ შორის სტაჟირების პროგრამების შესახებ.	ადგილობრივი თვითმმართველობა ; კერძო სექტორში მომუშავე კომპანიები	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, კერძო სექტორი, დონორი ორგანიზაციები
	1.3.2. მუნიციპალიტეტში შეიქმნება ახალგაზრდებისთვის სტაჟირების პროგრამა.	• შექმნილი და დანერგულია ადგილობრივი თვითმმართველობის სტაჟირების პროგრამების ხარისხის სტანდარტი • შექმნილია და ფუნქციონირებს ახალი პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს პრაქტიკა გაიარონ მუნიციპალიტეტის მერიამ არსებულ სტრუქტურებში.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი

მიზანი	ამოცანები	პროგრამები/პროექტები/ღონისძიებები	შესრულების ინდიკატორები	შემსრულებელი	დაწყების და დასრულების ვადა (წელი)
--------	-----------	-----------------------------------	-------------------------	--------------	------------------------------------

სტრატეგიული მიმართულება 2: ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობები შექმნილია

მოსალოდნელი შედეგები: ახალგაზრდების ჯანმრთელობა დაცულია

2. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის შესაბამისი პირობები შექმნილია.	2.1 ახალგაზრდები ინფორმირებული არიან ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ	2.1.1 ახალგაზრდების (14-29) ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ცხოვრების ჯანსაღი წესისა და მისი მნიშვნელობის შესახებ (საინფორმაციო კამპანიებისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება)	ყოველწლიურად სულ მცირე 500 ახალგაზრდას აქვს მონაწილეობა მიღებული ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი მიძღვნილ ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებებში.	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასმთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტი, სკოლები.	2020-2022
	2.2 ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარიზებულია	2.2.1 სპორტულ-გამაჯანაღებელი ობიექტების რაოდენობის გაზრდა (საცურაო აუზიზ გაკეთება.)	• ახალგაზრდები ყველა თემში ინფორმირებულნი არიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე სპორტული პროგრამების შესახებ. . მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია და განახლებულია სპორტული მოედნები. .	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	2020-2022
		2.2.2 ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების მხარდაჭერა ახალგაზრდებში	. ინტერნეტ - უსაფრთხოების შესახებ ტრენინგში მონაწილეობს მინიმუმ 300 ახალგაზრდა.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022
		2.2.3. თანატოლთა განათლების მხარდაჭერა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით (თემები: აზარტული თამაშები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მავნე ნივთიერების მოხმარება, კიბერ-უსაფრთხოება)	• გადამზადებულია სულ მცირე 100 თანასწორგანმანათლებელი • თანასწორგანმანათლებლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიღებული აქვს სულ მცირე 1000 ბენეფიციარს. ღონისძიებები მათ შორის მოიცავს ახალგაზრდების ინფორმირებას აზარტული თამაშების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მავნე ნივთიერების მოხმარების, კიბერ- უსაფრთხოების შესახებ.	ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მომუშავე არაფორმალური განათლების ცენტრები;	2020-2022
		2.2.4 სპორტული დღესასწაულებისა და ფესტივალების ორგანიზება (მხიარული სტარტები, მართონები, ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტებს, სოფლებს, ქალაქებს შორის შეჯიბრებები და სხვა)	• ყოველწლიურად ტარდება სულ მცირე 1 სპორტული ფესტივალი/დღესასწაული, რომლის პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022
		2.2.5. სპორტული სექციების მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის, მათ შორის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემის მოგვარება	• გამოვლენილია ახალგაზრდების ინტერესები სპორტული სექციების კუთხით • სპორტული სექციების მრავალფეროვნება გაზრდილია მინიმუმ 5 ახალი სახეობით	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022

2.3. თავისუფალი დრო ახალგაზრდების მიერ ორგანიზებულია რაციონალურად და ეფექტურად	2.3.1 ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი და ხელმისაწვდომი გართობის შესაძლებლობები შექმნა	.რეკრეაციული ახალგაზრდული საქმიანობის საშუალებების შექმნილია (ბანაკები, ტურისტული ბილიკები, სალაშქრო მარშრუტები და სხვ.)	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022
	2.3.2. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სპორტული და გასართობ-შემეცნებითი აქტივობებისათვის და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	* ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდებს აქვთ ხელმისაწვდომობა ამა თუ იმ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ობიექტზე	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022
2.4. ახალგაზრდები მონაწილეობენ დასვენებასა და გართობაზე მიმართულ პროგრამებში, რომელშიც ინტეგრირებულია როგორც ფიზიკური ისე რეკრეაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები;	2.4.1. ახალგაზრდების რეკრეაციული ინიციატივების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის მიერ, როგორც მატერიალურ-ტექნიკურად, ისე ფინანსურად და კვალიფიციურად.	* ყოველწლიურად სულ მცირე 500 ახალგაზრდაა ჩართული გართობაზე და დასვენებაზე ორიენტირებულ პროგრამებში. * ყოველწლიურად 100 ახალგაზრდა მონაწილეობს ახალგაზრდების დასვენებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებში. * ახალგაზრდების გართობისთვის და დასვენებისთვის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოყოფილია სულ მცირე 10000 ლარი.	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები	2020-2022
2.5. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები სპორტულ პროგრამებში	2.5.1. ახალგაზრდებისთვის მრავალფეროვანი და ყველა ასაკის ახალგაზრდაზე მორგებული სპორტული პროგრამების განხორციელება.	* ახალგაზრდების ინიციატივები გათვალისწინებულია სპორტული პროგრამების დაგეგმვის დროს. * ყოველწლიურად 15-ვე თემის ახალგაზრდები ჩართულები არიან სპორტულ შეჯიბრებებში.	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები	2020-2022

**დაფინანსების
წყაროები**

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება

ადგილობრივი
ბიუჯეტი,
დონორული
~~დაფინანსება~~

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
სპორტისა და
ახალგაზრდობ
ის საქმეთა
სამინისტრო
(მხარდამჭერი)

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება,
არასამთავრობო
ორგანიზაციებ
ი

ადგილობრივი
ბიუჯეტი;
დონორული
დაფინანსება,
არასამთავრობო
ორგანიზაციებ

მიზანი	ამოცანები	პროგრამები/პროექტები/ღონისძიებები	შესრულების ინდიკატორები	შემსრულებელი	დაწყების და დასრულების ვადა (წელი)	დაფინანსების წყაროები
სტრატეგიული მიმართულება 3: მონაწილეობა მოსალოდნელი შედეგები: ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია						
3. ახალგაზრდების მონაწილეობა მხარდაჭერილია	3.1. ახალგაზრდებში სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერება ამაღლებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით	3.1.1. მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებაში, ასევე კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაში	• მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ორგანიზებულ მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 600 ახალგაზრდამ	ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მომუშავე არაფორმალური განათლების ცენტრები; ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება
		3.1.2. მოხალისეობის პოპულარიზაცია საინფორმაციო კამპანიებისა და მოხალისეობრივი პროგრამების განხორციელების გზით	• მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 500 ახალგაზრდამ	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება
		3.1.3. ახალგაზრდების ჩართვა გარემოსდაცვით ღონისძიებებში	• გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 500 ახალგაზრდამ	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება
3.2 ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ	3.2.1 ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სხვადასხვა პროგრამების გზით.	• ყოველწლიურად 200 ახალგაზრდა ინფორმირებულია საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. • 15-ვე თემში შექმნილია ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი	
3.3. მიმდინარე პროცესებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულია გაზრდილია;	3.3.1 ახალგაზრდებს სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ.	• სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფი, სადაც ეტაპობრივად იღება ინფორმაციები გამოცხადებული ან მიმდინარე პროგრამების შესახებ, ჯგუფში გაწევრიანებულია სულ მცირე 500 ახალგაზრდა. • 15 თემში ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამა მუნიციპალიტეტის მოხალისე, რაც გულისხმობს მოხალისეების შერჩევას თემიდან (თითო თემში თითო მოხალისე ახალგაზრდა), რომლებიც კვირაში ერთხელ ახალგაზრდებთან აწყობენ შეხვედრებს და აცნობენ	ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მომუშავე არაფორმალური განათლების ცენტრები; ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება	

	3.3.2 ახალგაზრდული ფორუმის მოწყობა, სადაც ახალგაზრდებთან ერთად შეიკრიბებიან ახალგაზრდულ საკუთხებზე მომუშავე სექტორები და გააზიერებენ ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა ხდება მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის. ისაუბრებენ შესაძლო თანამშრომლობის მექანიზმებზე.	. მუნიციპალიტეტში იმართება ახალგაზრდული ფორუმი, რასაც აქვს სისტემური სახე. ერთ სივრცეში შეიკრიბება ახალგაზრდული საკუთხებით დაინტერესებული უწყებები, მოხდება ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება.	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო სექტორი.	2019-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
3.4. მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;	3.4.1 ახალგაზრდული საბჭოს, როგორც ახალგაზრდების მონაწილეობის ინსტრუმენტის, გაძლიერება	* ახალგაზრდული საბჭო მდგრადად ფუნქციონირებს და ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება
	3.4.1 ახალგაზრდების მონაწილეობის სხვა ფორმების დანერგვა	* ფუნქციონირებს ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი მონაწილეობის ფორმები	ადგილობრივი თვითმმართველობა; ახალგაზრდული საბჭო	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება
	3.4.2 ახალგაზრდების ჩართვა ბიუჯეტირების პროცესში	* ყოველწლიურად ახალგაზრდები მონაწილეობენ საბიუჯეტო პროცესში, პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა ხდება ახალგაზრდებთან	ადგილობრივი თვითმმართველობა; ახალგაზრდული საბჭო	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
	3.4.3. შეხვედრა ახალგაზრდებთან მუნიციპალიტეტის პირველი პირები (მერი, ვიცი მერი, საკრებულოს თავმჯდომარე...) სხვებთან ახალგაზრდებს აცნობენ მიმდინარე პროგრამების შესახებ ინფორმაციებს, საუბრობენ ახალგაზრდების ინტერესებზე და საჭიროებებზე.	* ახალგაზრდები ინფორმირებულნი არიან მიმდინარე მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
	3.4.4 ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისა და საზოგადოებრივ პროცესებში ჩართულობის კუთხით	* მზარდაჭერილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლებშიც სულ მცირე 300 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა	ადგილობრივი თვითმმართველობა; ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფები	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება
3.5 ფინანსები გამოყოფილია ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდასაჭერად	3.5.1 ახალგაზრდული იდეების დაფინანსების მექანიზმის შექმნა	* მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსებულია ან/და მატერიალურად მხარდაჭერილია სულ მცირე 20 ახალგაზრდული ინიციატივა	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი;	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
	3.5.2 ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების გათვალისწინება ბიუჯეტირების პროცესში ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეობით	* ყოველწლიურად ბიუჯეტირების პროცესში გათვალისწინებულია მინიმუმ 3 ახალგაზრდული იდეა თუ ინიციატივა.	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი;	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
	3.5.3 ახალგაზრდების ინფორმირება მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო საერთაშორისო საერაწილის შესახებ	* ყოველწლიურად მინიმუმ 100 ახალ ახალგაზრდასა და ახალგაზრდულ ორგანიზაციას/საინიციატივო ჯგუფს მიეწოდა ინფორმაცია მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო საერთაშორისო საერაწილის შესახებ	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება

მიზანი	ამოცანები	პროგრამები/პროექტები/ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	შესრულების ინდიკატორები	შემსრულებელი	დაწყების და დასრულების ვადა (წელი)	დაფინანსების წყაროები
სტრატეგიული მიმართულება 4: ახალგაზრდული საქმიანობა მოსალოდნელი შედეგები: ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია						
<p>4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება მხარდაჭერილია</p>	<p>4.1. ახალგაზრდული საქმიანობისა და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მნიშვნელობა პოპულარიზებულია;</p>	<p>4.1.1. ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილება და შედეგები აღიარებული და ცნობილია.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მომუშავე ყველა სპეციალისტს ახალგაზრდული მიმართულებით გავლილი აქვთ სულ მცირე საბაზო საკვალიფიკაციო-სატრენინგო კურსი ახალგაზრდულ საქმიანობაში 	<p>ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო სექტორი, ცენტრალური ხელისუფლება, საგანმანათლებლო ინსტიტუტები</p>	<p>2020-2022</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება</p>
		<p>4.1.2. მასმედიასთან თანამშრომლობით სფეროს ცნობადობისა და მნიშვნელობის გაზრდის ხელშეწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჩატარებულია სულ მცირე 2 სამუშაო შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან ახალგაზრდული სფეროს როლისა და მნიშვნელობის განმარტების მიზნით • მუნიციპალიტეტის მიერ და მისი მხარდაჭერით განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამების 100%-ზე მოწვეულია ადგილობრივი მასმედია, დაგზავნილია პრესრელიზები და საინფორმაციო ხასიათის მასალები • ჩატარებულია ყოველწლიურად სულ მცირე 2 შეხვედრა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებთან ახალგაზრდული პროგრამების ერთობლივი დაგეგმვისა და მათი მიმდინარეობის კოორდინაციის 	<p>ადგილობრივი თვითმმართველობა</p>	<p>2020-2022</p>	<p>ადგილობრივი ბიუჯეტი</p>
		<p>4.1.3. ახალგაზრდების, მშობლებისა და მასწავლებლების ინფორმირება და ცნობადობა ამაღლებულია ახალგაზრდული საქმიანობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.</p>	<p>• მუნიციპალურ ახალგაზრდულ ცენტრებში, ზიბლიოთეკებში, და კულტურის სახლებში მუშაობს ახალგაზრდული საქმიანობის მინიმუმ საბაზო და ძირითადი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (ყოველ წელს დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის ტარდება ტრენინგები ახალგაზრდული საქმიანობის სწავლების მეთოდებთან რაც ხელს უწყობს მათ კვალიფიკაციის განვითარებაში)</p>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო სექტორი,</p>	<p>2020-2022</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტი; დონორული დაფინანსება</p>

4.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარება მხარდაჭედილია შესაბამისი არაფორმალური განათლების პროგრამების გზით	4.2.1. ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა არაფორმალური განათლების პროგრამებში.	ყოველწლიურად არაფორმალურ პროგრამებში ჩართულია სულმცირე 300 ახალგაზრდა.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
	4.2.2. ახალგაზრდების პიროვნული განვითარების (ანალიტიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სამეცნიერო; შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების; დამოუკიდებლად სწავლის; ურთიერთობის; კულტურული გამოხატვის და კულტურათმორისი ურთიერთობის კომპეტენციები) მხარდაჭერი პროგრამების განხორციელება	* მუნიციპალიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების პიროვნული განვითარების ხელშეწყობი პროექტების მხარდაჭერა.	ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო სექტორი,	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
	4.2.3. მონაწილეთა მიერ პროგრამების შეფასების წესის შემოღება	* არსებობს და გამოყენებაშია შეფასების, მონიტორინგისა და ანგარიშგების გეგმა/წესი, რომელიც სავალდებულოდ ვრცელდება როგორც მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ახალგაზრდულ აქტივობებსა თუ პროგრამებზე, ასევე მუნიციპალური ბიუჯეტით მხარდაჭერილ ღონისძიებებზეც	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, არასამთავრობო სექტორი	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება
4.3. არსებული ახალგაზრდული ცენტრების, ბილიოტეკების და კულტურის სახლების მოდერნიზება, ინფრასტრუქტურის განახლება და ცენტრის ხელმძღვანელების გადამზადება უზრუნველყოფილია;	4.3.1 ახალგაზრდული სივრცეების მოდერნიზება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ახალგაზრდული სივრცეების ხელმძღვანელების გაძლიერება.	• 10 ახალგაზრდული ცენტრი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით. 15 (10 ცენტრის მენეჯერი, 5 ცენტრების ხელმძღვანელი ა(ა)იპ კულტურის დაწესებულების გაერთიანების თანამშრომელი) მენეჯერი დატრენინგებულია ახალგაზრდული მუშაკის კვალიფიკაციის შესაბამისად, ფლობენ ცოდნას ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების დადგენის შესახებ.	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020-2022	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება

